

„შეთანხმებულია“

„ვამტკიცებ“

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

შპს „ეკოვილსი“-ს დირექტორი

-----/ლ. კაპანაძე/

----- 2026

----- 2026

შპს „ეკოვილსი“

ნარჩენების აღდგენის

(საბურავების გადამუშავების) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია

(გარდაბანის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაკლია, 1-ლი ქუჩის II შესახვევი, №3)

**ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად
დასაშვები გაფრქვევის ნორმების
პროექტი**

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

159 Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia

tel: +(0 370) 273365, 5 99 70 80 55, e-mail: Makich62@mail.ru

ანოტაცია

პროექტი შედგენილია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები:

1. განხილულია საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით;
2. გათვალისწინებულია საწარმოს განლაგების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს;
3. დადგენილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;
4. მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დასახასიათებლად აუცილებელ გაანგარიშებათა ჩატარებისთვის საჭირო საწყისი ინფორმაცია;
5. საკუთრივ ამ გაანგარიშებათა მონაცემები და მათ საფუძველზე მიღებულ შედეგთა ანალიზი; ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დადგენილია საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა ნორმები, დაბინძურების სტაციონარული წყაროების საპროექტო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისათვის.

პროექტი შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის „ეკოლოგი3.0“ გამოყენებით.

სარჩევი

ანოტაცია -----	2
ძირითად ტერმინთა განმარტებანი-----	4
ა) ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ (დანართი 1)-----	6
ბ) საწარმოს განლაგების რაიონის მოკლე ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს (დანართი 2)-----	7
გ) საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით-----	10
დ) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები (დანართი 3)-----	14
ე) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში -----	14
ვ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები -----	37
ა) მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება (დანართი 4)-----	38
ბ) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება (დანართი 5)-----	41
გ) აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება (დანართი 6)-----	44
დ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება (დანართი 7)-----	45
ზ) ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი (დანართი 8)-----	46
თ) ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის (დანართი 9)-----	48
ი) ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის (დანართი 10)-----	51
კ) საწარმოს გენ-გეგმა მასზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით-----	52
საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა -----	53
ლ) ლიტერატურული წყაროები -----	54
მ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მანქანური ამონაბეჭდი(დანართი 11)-----	55

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებული ცნებები ნიშნავს:

„ატმოსფერული ჰაერი“ – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

„მავენე ნივთიერება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ – ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავენე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

„ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ – ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავენე ზემოქმედებას;

„ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

„ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30-წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

„ატმოსფერულ ჰაერში მავენე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავენე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავენე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავენე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

„გარემო“ - ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და ანთროპოგენულ ლანდშაფტს;

„ბუნებრივი გარემო“ - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

„გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ - დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული ელემენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს დაგეგმილი საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ პოტენციურ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრხოებაზე, მცენარეულ საფარსა

და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაზე, მათ შორის ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებზე(მემკვიდრეობაზე) და სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე(ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის).

„ატმოსფეროს დაბინძურების პოტენციალი“ - მეტეოროლოგიური ფაქტორების კომპლექსი, რომელიც განაპირობებს ატმოსფეროს უნარს განაზავოს ჰაერში არსებული მინარევები.

„გარემოს დაბინძურება“ - გარემოს კომპონენტებში შენარევების არსებობა ან მათ შემადგენლობაში მუდმივად არსებული ნივთიერებების ნორმალური თანაფარდობის შეცვლა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე გარემო ფაქტორებზე.

„ფონური დაბინძურება“ - გარემოს კომპონენტების დაბინძურების ყველა არსებული წარმოების ერთობლივი მოქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა გარკვეულ რაიონში, ახალი ობიექტის მშენებლობისას ან არსებული წყაროების სავარაუდო გაფართოების მომენტისათვის.

ძირითად საანგარიშო ნაწილი

ა) ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ (დანართი 1)

ობიექტის დასახელება	შპს „ეკოვილსი“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	გარდაბანის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაკლია, 1-ლი ქუჩის II შესახვევი, №3
იურიდიული	თბილისი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქ., N 17/4, ბ. 14
საიდენტიფიკაციო კოდი	404680724
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X-500170; Y-4603875
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ლუკა კაპანაძე
ტელეფონი	5 99 77 03 30
ელ-ფოსტა	lukefaithh@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	150 მეტრი საკადასტრო საზღვრიდან
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ნარჩენების აღდგენის (საბურავების გადამუშავების) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	თხევადი საწვავი, ლითონის ჯართი; მყარი ნახშირბადი; აირადი საწვავი;
საპროექტო წარმადობა	თხევადი საწვავი 900 ტონა, ლითონის ჯართი 300 ტონა; მყარი ნახშირბადი - 900 ტონა; აირადი საწვავი - 300 ტონა (435000მ³).
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ნარჩენი საბურავი 2400 ტონა
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	დიზელი
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	300
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

ბ) საწარმოს განლაგების რაიონის მოკლე ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს (დანართი 2)

ალთაკლია - სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს გარდაბნის ვაკეზე, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. ზღვის დონიდან 400 მ, გარდაბნიდან დაშორებულია 12 კმ.-ით. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია არასასოფლო-სამეურნეო განიშნულების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.06.00.122, ფართობით 3001 კვ.მ. საწარმოს ზემოქმედების ზონაში მდებარეობს ორი საცხოვრებელი სახლი, პირველი (81.06.22.208) - საწარმოდან ჩრდილოეთით, რომელიც დაშორებულია საკადასტრო საზღვრიდან 150 მეტრით, სადაც ასევე ფუნქციონირებს შპს „იუნაიტედ ფუდს“-ის ოფისი, მეორე (81.06.24.633) - მდებარეობს ტერიტორიიდან დასავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან 240,0 მეტრის დაშორებით. კომპანიის ზემოქმედების ზონაში მდებარეობენ შემდეგი საწარმოები: სამხრეთ-აღმოსავლეთით, 250 მეტრში, შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიის“ კუთვნილ ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.06.22.261, იჯარის ხელშეკრულებით სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს შპს „ჯეო სერვისი“. კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის სფერო შემდეგია: გზებისა და ავტობანების მშენებლობა. გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ასფალტის წარმოებაზე (29.10.2019); გადაცემულია შპს „ჯი ეი ეფ გრუპი“-ზე; აღმოსავლეთით, 200 მეტრში, ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.06.22.264 განთავსებულია შპს „გარდაბნის საგზაო სამმართველო“. გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№7(26.02.2010), ასევე აღმოსავლეთით, 300 მეტრის დაშორებით მოქალაქე ტარიელ ლებანიძის კუთვნილ ტერიტორიაზე, (81.06.22.493) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (23.10.2020) შპს „თათლიზე“ - ამორტიზებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის დნობის და სხმულების წარმოების საწარმოზე, სადაც ამჟამად ფუნქციონირებს შპს „ანტკელი“(406305662), რომელზეც გადაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება; სამხრეთით, 180 მეტრში, ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.06.24.631 ფუნქციონირებს შპს ა-ლ.ფ.ა. ჯგუფი. სამეწარმეო საქმიანობის სფერო შემდეგია: ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერის დამუშავება; ასფალტბეტონის წარმოება. გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება; ჩრდილოეთით, დაგეგმილი საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შპს „GEO GYPSUS“, თაბაშირის მწარმოებელი კომპანია (81.06.22.434). გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება; ჩრდილოეთით, 240 მეტრში ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.06.22.496 ფუნქციონირებს შპს „ფარავანპერლიტი“. სამეწარმეო საქმიანობის სფერო შემდეგია: სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა, ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება კერამიკული საფარების და ფილების წარმოება; სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება. სააგენტოსთან შეთანხმებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, საკადასტრო საზღვრიდან 610 მეტრის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუნქციონირებს შპს „პეტროკლაბი“ (81.06.00.089) - ნავთობპროდუქტების საცავი, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, საკადასტრო საზღვრიდან ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთით, 530 მეტრის დაშორებით მოქმედ შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანიის“ (81.06.21.453; 81.06.21.458; 81.06.21.497) კუთვნილ მეტალურგიულ ქარხანაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ემისიის სხვა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული წყაროები არ ფიქსირდება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება მშრალ სუბტროპიკულ კლიმატურ ზონას. ზონა მოიცავს ქვემო ქართლის ვაკეს, ვაზიანის ქვემოთ 300-დან 450 მ. სიმაღლემდე. მდინარე იორის ზეგანს, შირაქის ზეგანს. ზონის ტერიტორია გაშლილია, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაქანებით. ტერიტორია მიეკუთვნება III გ კლიმატურ ქვერაიონს.

დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა ხშირია და დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდის მსვლელობაზე საქართველოში ამინდის ანტიციკლონური ტიპის გაბატონების შედეგად, ზამთარი

ქვემო ქართლში ცივი და მშრალია, ღრუბლიანობა კი ზომიერი, უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 0°C მახოლობლად, მინიმალური ტემპერატურა ზამთრის თვეებში ხშირად ეცემა 0°C -მდე და უფრო და ქვემოთ.

პირველ ყინვას ზონაში ადგილი აქვს ნოემბრის პირველ დეკადაში, უკანასკნელს-აპრილის დასაწყისში. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შეიძლება ზონაში დაეცეს -20-23°C -მდე, მაგრამ ეს იშვიათობაა. საერთო წლიური აბსოლუტური მინიმუმი -25 °C -ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე თბილი თვის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა 24-25 °C -ზე მეტია, ხოლო დაბლობ ადგილებში კი 26 °C აღემატება. ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა უდიდესია მთელს საქართველოში და დაახლოებით 25 °C უდრის.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 441-1000მმ-მდეა (იალნოს ქედზე). ნალექების მაქსიმალური დღიური ნორმა 147 მმ-ს აღწევს. ნალექების მაქსიმუმი (86 მმ) მაისში მოდის, მინიმუმი (16 მმ)- იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ – 89. თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობა, საშუალოდ –26 დღე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბატონებულია ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქარები, რომელთა სიჩქარემ 15 მ/წმ-სა და მეტს შეიძლება მიაღწიოს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლები გარდაბნის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით.

წყარო: სამშენებლო ნორმები და წესები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ პნ 01.05-08

ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა

თვეები საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.	აბს. მინ. წლ.	აბს. მაქს. წლ.
0C	0.3	2.4	6.7	12.1	17.8	21.9	25.3	25.0	20.1	14.0	7.4	2.3	12.9	-25	41

ფარდობითი ტენიანობა (%).

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.
%	77	72	69	65	65	61	55	56	63	72	79	80	68

ნალექების რაოდენობა


ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
422	82

ქარის მახასიათებლები

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
1	5	10	15	20
20	25	27	29	30

ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
იანვარი	ივლისი
4,5/0,2	7,9/1,2

ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
19	2	5	12	7	3	7	45	58



ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	31,9 ⁰
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	-7 ⁰
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	45
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	2
- აღმოსავლეთი	5
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
- სამხრეთი	7
- სამხრეთ-დასავლეთი	3
- დასავლეთი	7
- ჩრდილო-დასავლეთი	45
-შტილი	58
ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების გაგანმეორადობა შეადგენს 5%-ს.	15

ფონური კონცენტრაციები

ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობები დგინდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფეროს დაბინძურების დაკვირვების პოსტებზე რეგულარული დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე. ამ მონაცემების არარსებობის შემთხვევაში ფონური კონცენტრაციის სავარაუდო მნიშვნელობები აიღება ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით.

მოსახლეობის რაოდენობა, ათ. კაცი	ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა, მგ/მ³			
	აზოტის დიოქსიდი	გოგირდისდიოქსიდი	ნახშირჟანგი	მტვერი
250-125	0,03	0,05	1,5	0,2
125-50	0,015	0,05	0,8	0,15
50-10	0,008	0,02	0,4	0,1
<10	0	0	0	0

გ) საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

კომპანიის მიზანს წარმოადგენს საბურავების ნარჩენების დაბალტემპერატურული (450-460°C) პიროლიზის მეთოდით გადამუშავების გზით სხვადასხვა პროდუქტების მიღება და რეალიზაცია. მიღებული პროდუქტები შემდეგია: პიროლიზური გაზის კონდენსატები - მაზუთის, დიზელის, ბენზინის ფრაქციების და პიროლიზური ზეთის სახით, ლითონის ჯართი, მყარი ნახშირბადი, აირადი საწვავი.

საპროექტო წარმოების ტექნოლოგიური ციკლი შედგება შემდეგი ტექნოლოგიური პროცესებისაგან:

1. საბურავების ნარჩენების მოპოვება, ადგილზე მიმღები პუნქტის ორგანიზება და აღრიცხვა;
2. ნედლეულის მექანიკური დამუშავება, რომლის შემადგენელი პროცესებია:
 - ა) ნედლეულის მეტალის ჩანართიდან გამოცალკეება;
 - ბ) მიღებული რეზინის სასურველ ზომაზე დაჭრა;
3. რეზინის პიროლიზური დესტრუქცია;
4. მიღებული პროდუქტების დასაწყობება/რეალიზაცია;

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი აქვს ისეთი ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას, როგორებიცაა საბურავების პიროლიზური დესტრუქცია და მიღებული თხევადი და აირადი საწვავის დასაწყობება/გაცემა. პიროლიზური დესტრუქცია ხორციელდება საბურავების გადამუშავების ტექნოლოგიური მოწყობილობის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დანადგარების ერთობლიობას და შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან:

1. პიროლიზის რეაქტორი (რეტორტი) პიროლიზის კამერით; 3. კონდენსატორ-სეპარატორები; 4. სხვადასხვა კონვეიერები და სექციები;

მიღებული თხევადი და აირადი საწვავის დასაწყობება/გაცემისათვის გამოყენებულია სხვადასხვა მოცულობის ნავთობსაცავები, ნავთობპროდუქტების გაცემის კვანძი - სატუმბო სადგური.

საბურავების დესტრუქციას ადგილი აქვს რეაქტორის პიროლიზის კამერაში, რომელშიც წინასწარ ზომაზე დაჭრილი საბურავების ტრანსპორტირება მოხდება ურიკებით, ხოლო ჩატვირთვა - ხელით ან ჩამტვირთავი პორტით. პიროლიზის ერთი ციკლის ხანგრძლივობა შეადგენს 24 საათს, საიდანაც ორი საათი მოხმარდება რეაქტორის გაცხელებას 450-460°C-მდე დიზელის საწვავის წვის პირობებში, 10 საათის განმავლობაში ადგილი ექნება 2 საათის განმავლობაში მიღწეული ტემპერატურის შენარჩუნებას პიროლიზის პროცესში წარმოქმნილი პიროლიზური გაზის წვის სითბოს ხარჯზე. 12 საათის განმავლობაში ადგილი ექნება პიროლიზის კამერის გაცივებას, პიროლიზის კამერიდან პიროლიზის ერთ-ერთი პროდუქტის - მყარი ნახშირბადის ამოღებას და საჭიროების შემთხვევაში ტექნოლოგიური დანადგარების დასუფთავების სამუშაოების წარმოებას.

პიროლიზის პირველი 2 საათის განმავლობაში მიღწეული მაქსიმალურად მაღალი ტემპერატურის და წნევის პირობებში პიროლიზის კამერაში ჰერმეტიკულ გარემოში (გაზის

გამოსვლის ონკანი დაკეტილია, პიროლიზური ორთქლი არ გადაადგილდება კონდენსატორ-სეპარატორის მილებში) იწყება საბურავების პიროლიზური დაშლა და პიროლიზური გაზის ინტენსიური წარმოქმნა, რის შემდგომ იღება პიროლიზური გაზის გამოსვლის მილის ონკანი და გაზი იწყებს კონდენსატორ-სეპარატორის მილების მიმართულებით მოძრაობას. პიროლიზის პირველი პროდუქტის - გაზიდან მაზუთის ფრაქციის კონდენსირება ხდება გარემოს ტემპერატურის გავლენით, პიროლიზური გაზის კონდენსატორ-სეპარატორში შესვლამდე, რომელიც თვითდინებით ჩაედინება მაზუთის რეზერვუარში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით - მაზუთის საბოლოო - გასაცემ რეზერვუარში, ხოლო დიზელის და ბენზინის ფრაქციები კონდენსირდება პიროლიზური გაზის კონდენსატორ-სეპარატორის ცენტრალურ მილში გადაადგილებისას კონდენსატორ-სეპარატორის კედლებში არსებულ მილებში მოცირკულირე წყლით პიროლიზური ორთქლის გაცივებით/კონდენსირებით, საიდანაც თვითდინებით ჩაედინება ე.წ. პირველად რეზერვუარებში, კერძოდ, დიზელისათვის გამოყოფილია ერთი ცალი 2,5მ³, ხოლო ბენზინისათვის, ასევე ერთი ცალი 2,0მ³ მოცულობის რეზერვუარი. აღნიშნული რეზერვუარებიდან ტუმბოების საშუალებით დიზელი და ბენზინი გადაიტვირთება მათთვის გამოყოფილ საბოლოო - პროდუქტების გამცემ რეზერვუარებში. პიროლიზური ორთქლის გარკვეული ნაწილის კონდენსირება ვერ ხდება, შესაბამისად, 10 საათის განმავლობაში ადგილი აქვს ერთდროულად (პარალელურ რეჟიმში) სამი თხევადი პროდუქტის და არაკონდენსირებული პიროლიზური გაზის, ანუ გაზის იმ ნაწილის, რომლის კონდენსირება ვერ მოხდა, არსებობას, რომელიც გადაადგილდება შესაბამის მილებში. პირველად (დიზელის და მაზუთის) რეზერვუარებზე დამონტაჟებულია ავარიული გაფრქვევის მილები სარქველებით. საბოლოო - პროდუქტების გამცემი რეზერვუარები თითოეული პროდუქტისათვის წარმოადგენს 50-60მ³ მოცულობის ქარხნული წარმოების რკინიგზით ნავთობპროდუქტების გადაზიდვის რეზერვუარებს, რომლებშიც ნავთობპროდუქტების დიდი ხნით შენახვას ადგილი არ ექნება. რეზერვუარებზე დამონტაჟებული იქნება ასეთი სახის რეზერვუარებისათვის გათვალისწინებული ყველა მოწყობილობა, როგორებიცაა, ქვედა დამცლელი მოწყობილობა, ზედა ლუქი, ავარიული გაფრქვევის მილი სარქველით და სხვა. ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში ჩასხმისათვის გამოყენებული იქნება ქვედა დამცლელი მოწყობილობა, პროდუქტების მიწოდება მოხდება მიწისქვეშა მილებით ტუმბოს მოქმედებით. კომპანიას დაგეგმილი აქვს მიღებული თხევადი პროდუქტების გარკვეული ნაწილის ერთმანეთთან შერევით სინთეზური პიროლიზური ზეთის მიღება, რისთვისაც ტერიტორიაზე მოეწყობა ასევე 50-60მ³ მოცულობის ანალოგიური, მეოთხე საბოლოო - პროდუქტის გასაცემი რეზერვუარი, რომელშიც მაზუთის, დიზელის და ბენზინის პირველადი რეზერვუარებიდან ჩაიტვირთება სამივე პროდუქტი. პირველადი რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების გადატვირთვისათვის საბოლოო რეზერვუარებში გამოყენებული იქნება თითოეული პროდუქტისათვის თითო ტუმბო, წარმადობით 3მ³/სთ, რომლებიც იმუშავენ დროგამოშვებით, ავტომატურ რეჟიმში - მოქმედებაში მოვლენ პირველად რეზერვუარებში პროდუქტის გარკვეული მოცულობის დაგროვების შემდგომ, ხოლო საბოლოო რეზერვუარებიდან სინთეზური ზეთის რეზერვუარში თითოეული პროდუქტის გადატვირთვისათვის ასევე გამოყენებული იქნება ანალოგიური ტუმბოები თითოეული ნავთობპროდუქტისათვის (3მ³/სთ). პიროლიზის კამერაში 10 საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში (ათვლა ხდება პიროლიზურ გაზის გამოსვლის მილის ონკანის გაღების მომენტიდან პროცესის დასრულებამდე) გამოიყოფა პროდუქტები შემდეგი ინტენსივობით: თხევადი საწვავი (პიროლიზური ზეთი) - 3 ტონა, საიდანაც მაზუთის ზვედრითი წილი შეადგენს 11%-ს, ანუ 0,33ტონას, პიროლიზური დიზელი -55,0%-ს, ანუ

1,65ტონას, ბენზინი - 34,0%-ს, ანუ 1,02ტონას, აირადი საწვავი(არაკონდენსირებული პიროლიზურ გაზი) - 1 ტონა, რომელიც დაბალტემპერატურული პიროლიზის შემთხვევაში განიხილება როგორც ბუნებრივი გაზის ანალოგი, ამიტომ მისი სიმკვრივის(0,00068-0,00078ტ/მ³) გათვალისწინებით ტოლია 1450 მ³-ის.

გამოყოფილი პიროლიზური ნავთობპროდუქტების პირველად რეზერვუარში გადატვირთვა ხდება თვითდინებით, ამიტომ სიჩქარე(მ³/სთ.) თითოეული პროდუქტისათვის ტოლია: მაზუთი - $0,33 / 10 = 0,033$ ტ/სთ, რაც მაზუთის სიმკვრივის გათვალისწინებით ტოლია $0,033 / 1,015 = 0,0325$ მ³/სთ; დიზელის ფრაქცია $1,65 / 10 = 0,165$ ტ/სთ, რაც ტოლია $0,165 / 0,84 = 0,1964$ მ³/სთ; ბენზინის ფრაქცია - $1,02 / 10 = 0,102$ ტ/სთ, რაც ტოლია $0,102 / 0,74 = 0,1378$ მ³/სთ; ხოლო აირადი საწვავის გამოყოფის ინტენსივობა ტოლია $1,0 / 10,0 = 0,1$ ტონა/სთ., ანუ $1450/10 = 145$ მ³/სთ. სულ, წლის განმავლობაში პიროლიზის შედეგად მიღებული პროდუქტების სახეობები და რაოდენობები შემდეგია: თხევადი საწვავი 900 ტონა(მაზუთი 99,0ტონა, დიზელი - 495ტონა; ბენზინი - 306,0 ტონა; ლითონის ჯართი 300 ტონა; მყარი ნახშირბადი - 900 ტონა; აირადი საწვავი - 300ტონა (435000მ³).

სინთეზური პიროლიზური ზეთის მიღებისათვის არსებობს დიზელის ბენზინის და მაზუთის სხვადასხვა პროპორციებით შერევის პრაქტიკა. მიღებული პროდუქტი ხასიათდება პირდაპირი პიროლიზის გზით მიღებული ზეთისაგან რიგი განსხვავებული მახასიათებლებით, კერძოდ, ის წარმოადგენს საუკეთესო საღუმელე საწვავს, მისი კალორიულობა აღემატება მაზუთის კალორიულობას დაახლოებით 25-30%-ით, არ იყინება -40°C ტემპერატურაზე, ახასიათებს საუკეთესო დენადობა ძალზე დაბალი ტემპერატურის პირობებშიც, ხასიათდება ძალზე დაბალი (<0,001%) ნაცრიანობით - მისი წვისას ნაცარი პრაქტიკულად არ წარმოიქმნება, გამოიყენება საღუმელე, საქვაბე საწვავად, ასევე მისი გადამუშავებით შესაძლებელია მიღებული იქნეს სხვა ნავთობპროდუქტები.

დაგეგმილია 100 ტონა სინთეზური პიროლიზური ზეთის მიღება, შემადგენლობით: მაზუთი - 50 ტონა, დიზელი - 25 ტონა, ბენზინი - 25 ტონა.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, საბოლოოდ მიღებული თხევადი ნავთობპროდუქტების (რომელთა რეალიზაცია მოხდება) და საწვავად გამოყენებული გაზის რაოდენობა წლის განმავლობაში შემდეგია: თხევადი საწვავი 900 ტონა(მაზუთი 49,0ტონა, დიზელი - 470ტონა; ბენზინი - 281,0 ტონა, სინთეზური პიროლიზური საწვავი - 100 ტონა), აირადი საწვავი - 300ტონა (435000მ³).

მიღებული პიროლიზური თხევადი საწვავის წარმადობის გათვალისწინებით, რომელიც სხვადასხვა საწვავისათვის ვარირებს 0,0325მ³/სთ-დან 0,1964მ³/სთ-მდე, მავნე ნივთიერებების გაფრქვევების შემცირების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ტუმბოები მაქსიმალური წარმადობით 2მ³/სთ, მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთ მცირე წარმადობის ტუმბოებს ახასიათებთ მიღებში („შლანგებში“) ნავთობპროდუქტების შეფერხება/დაგროვება, გამოყენებული იქნება ხანძარ და აფეთქება უსაფრთხო ტუმბოები, წარმადობით 3მ³/სთ(მაგალითად, Piusi EX50 ან სხვა ანალოგიური მახასიათებლების მოდელი).

მიღებული პიროლიზური გაზის დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება პიროლიზის კამერაში საწვავად დიზელის წვისას განვითარებული ტემპერატურის შენარჩუნებისათვის.

მაღალი ტემპერატურის მიღწევა მოხდება პირველი 2 საათის განმავლობაში დიზელის საწვავის დაწვით რეაქტორის წვის კამერაში, რაოდენობით 150 ლიტრი/სთ, რომლის შემდგომ იწყება პიროლიზური პროდუქტების გამოყოფა, რა დროსაც შეწყდება დიზელის საწვავის მიწოდება რეაქტორში და იწყება წარმოქმნილი პიროლიზური გაზის მიწოდება პიროლიზის კამერაში და

დიზელის საწვავი ჩანაცვლდება პიროლიზური გაზით, რომლის წვა გაგრძელდება შემდგომი 10 საათის განმავლობაში.

დიზელის საწვავის მიღება/გაცემისათვის მოეწყობა 1,0 მ³ მოცულობის ლითონის ჰორიზონტალური ფორმის რეზერვუარი, მიახლოებითი ზომებით 2,0მ x 1,0მ x 0,5მ. რეაქტორიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები გაივლის სველ მტვერდამჭერს, მტვერდაჭერის კოეფიციენტით 95%.

წლიურად მიღებული პიროლიზური გაზის საერთო რაოდენობიდან, რაც შეადგენს 435000მ³-ს, 80%, ანუ 348000მ³, მოხმარდება რეაქტორს, ხოლო 20%, ანუ 87000მ³ დაიწვება ჩირაღდანში, ან მიეწოდება მაეზობლად მდებარე საწარმოს (შპს GEO GYPSUS). შესაბამისად პიროლიზის კამერის მიერ საწვავად მოხმარებული გაზის რაოდენობა სამუშაო დღის მანძილზე 10 საათის განმავლობაში ტოლი იქნება 1160მ³-ის, ხოლო ჩირაღდანში 10 საათის განმავლობაში თავისუფლად დაიწვება ან მიეწოდება მეზობლად მდებარე საწარმოს (შპს GEO GYPSUS) პიროლიზური აირი, რაოდენობით 290³. აირის წვისას ხანძრის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები, კერძოდ, ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობიდან - ჰიდროჩამკეტებიდან, რომლის გავლითაც გადაადგილდება პიროლიზური აირი, გამოვა ორი დამოუკიდებელი მილი აირის ტრანსპორტირებისათვის, სიდანაც ერთი მილი დაკავშირებული იქნება რეაქტორის წვის კამერასთან, ხოლო მეორე - ჩირაღდნის მილთან. თითოეულ გამომავალ მილზე დამონტაჟდება ონკანი, პიროლიზური აირის რაოდენობის რეგულირების მიზნით. როგორც რეაქტორის წვის კამერების საქმენებში, ასევე ჩირაღდანში წარმოქმნილი ცეცხლის უკუგავრცელების შემთხვევაში ცეცხლი გაივლის ხანძარსაწინააღმდეგო დანადგარს - ჰიდროჩამკეტს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ხანძრის (აფეთქების) თავიდან აცილება. რეაქტორის წვის კამერიდან ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 7 მეტრი სიმაღლის და 0,4 მეტრი დიამეტრის მილიდან, ხოლო ჩირაღდნის მილიდან ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 4,5 მეტრი სიმაღლის და 0,3 მეტრი დიამეტრის მილიდან.

თხევადი პროდუქტების გაცემა მოხდება საწარმოს დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში დაგეგმილი გასაცემი სვეტიდან მასზე ერთი გასაცემი მილით, რა დროსაც გამოყენებული იქნება ყველა რეზერვუართან დაკავშირებული ერთი ტუმბო, წარმადობით 10მ³/სთ შესაბამისი ონკანებით, რომელთა მოქმედებაში მოყვანით მოხდება სასურველი ნავთობპროდუქტის გაცემა მომხმარებელზე. პიროლიზური კამერის აირადი საწვავით მუდმივად უზრუნველყოფის მიზნით ექსპლუატაციაში შევა ტუმბო, წარმადობით 120მ³/სთ.-ის ფარგლებში. ყველა ტუმბო განთავსდება სატუმბო სადგურში.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფეროში. გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენენ: რეაქტორის წვის კამერის ნამწვი აირების გაფრქვევის მილი; დიზელის საწვავის რეზერვუარი(ჩასხმა); პიროლიზური გაზის(არაკონდენსირებული) ნამწვი აირის გაფრქვევის მილი; დიზელის ფრაქციის 2,5 მ³ მოცულობის რეზერვუარი; ბენზინის ფრაქციის 2,0მ³ მოცულობის რეზერვუარი, მაზუტის 60მ³ მოცულობის რეზერვუარი; დიზელის ფრაქციის 60მ³ მოცულობის რეზერვუარი; ბენზინის ფრაქციის 60მ³ მოცულობის რეზერვუარი; პიროლიზური ზეთის 60მ³ მოცულობის რეზერვუარი, პიროლიზური პროდუქტების გაცემისას ავტოცისტერნებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ადგილი, სატუმბო სადგური. ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები შემდეგია: დიზელის და პიროლიზური აირის წვის პროდუქტები, კერძოდ: აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი,

მტვერი(ჭვარტლი), გოგირდოვანი ანჰიდრიდი, ნახშირორჟანგი, ასევე ზეთების გადატვირთვის და ტუმბოების მუშაობისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებები.

გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახეობები და მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია დანართში „დ“.

დ) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები (დანართი 3)

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2754	ნახშირწყალბადები	1,0	-	4
301	აზოტის დიოქსიდი	0.2	0.04	2
0337	ნახშირჟანგი	5.0	3.0	4
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.5	0.15	3
0330	გოგირდოვანი ანჰიდრიდი	0,5	0,05	3
0328	ჭვარტლი(მტვერი)	0.15	-	3
333	გოგირდწყალბადი	0,008	-	2
415	ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5	200	50	4
416	ნაჯერი ნახშირწყალბადები C6-C10	50	5	3
501	ამილენები	1,5	-	4
602	ბენზოლი	0,3	0,06	2
616	ქსილოლი	0,2	-	3
621	ტოლუოლი	0,6	-	3
627	ეთილბენზოლი	0,02	-	3
410	მეთანი	-	-	-
-	ნახშირორჟანგი	-	-	-

ე) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში რეაქტორის წვის კამერის ნამწვი აირების გაფრქვევის მილიდან, გ-1

რეაქტორის წვის კამერაში ადგილი აქვს დიზელის და პიროლიზური აირის მონაცვლეობით დაწვას დიზელის შემთხვევაში

ლიტერატურული წყაროს[2] თანახმად 1 ტონა დიზელის წვისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,00025ტონა ჭვარტლი, 0,006ტონა გოგირდოვანი ანჰიდრიდი, 0,0034ტონა აზოტის დიოქსიდი, 0,0139ტონა ნახშირჟანგი, 3,208 ტონა ნახშირორჟანგი. წლის განმავლობაში 600 სამუშაო საათის მუშაობის პირობებში მოხმარებული დიზელის რაოდენობა შეადგენს 90 000 ლიტრს, ანუ 90მ³-ს, რაც ტოლია 75,6 ტონის. აღნიშნულის გათვალისწინებით:

აზოტის დიოქსიდი

$$M = 0,0034 \times 75,6 = 0,257 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,257 \times 10^6 / (600 \times 3600) = 0,119 \text{ გ/წმ}$$

ნახშირჟანგი

$$M = 0,0139 \times 75,6 = 1,0508 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 1,0508 \times 10^6 / (600 \times 3600) = 0,486 \text{ გ/წმ}$$

მტვერი(ჭვარტლი)

$$M = 0,00025 \times 75,6 = 0,019 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,019 \times 10^6 / (600 \times 3600) = 0,0088 \text{ გ/წმ}$$

ექსპლუატაციაში შევა სველი დაჭერის ფილტრი, მტვერდაჭერის ხარისხით 95%, შესაბამისად:

$$M = 0,019 \times 5 / 100 = 0,00095 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,0088 \times 5 / 100 = 0,00044 \text{ გ/წმ}$$

გოგირდოვანი ანჰიდრიდი

$$M = 0,006 \times 75,6 = 0,454 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,454 \times 10^6 / (600 \times 3600) = 0,21 \text{ გ/წმ}$$

ნახშირორჟანგი

$$M = 3,208 \times 75,6 = 242,525 \text{ ტ/წელი}$$

პიროლიზური აირის შემთხვევაში

ლიტერატურული წყარო [2] -ის თანახმად 1000 კუბ.მ. ბუნებრივი(პიროლიზური) აირის წვისას გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი - 0,0036 ტონა, ნახშირორჟანგი - 0,0089 ტონა, ნახშირორჟანგი - 2 ტონა. წლის განმავლობაში 3000 სამუშაო საათის მუშაობის პირობებში მოხმარებული პიროლიზური აირის რაოდენობა შეადგენს 348000 მ³-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით:

აზოტის დიოქსიდი

$$M = 348000 \times 0,0036 / 1000 = 1,253 \text{ ტ/წელი};$$

$$G = 1,253 \times 10^6 / (3000 \times 3600) = 0,116 \text{ გ/წმ};$$

ნახშირორჟანგი

$$M = 348000 \times 0,0089 / 1000 = 3,0972 \text{ ტ/წელი};$$

$$G = 3,0972 \times 10^6 / (3000 \times 3600) = 0,287 \text{ გ/წმ};$$

ნახშირორჟანგი

$$M = 348000 \times 2 / 1000 = 696,0 \text{ ტ/წელი};$$

მოცულობითი სიჩქარის გათვლა:

დიზელის საწვავი

ლიტერატურული წყარო[3]-ის მიხედვით, 1 კგ. დიზელის წვისას ნამწვი აირების გამოყოფის კოეფიციენტი(V₀) დიზელის სხვადასხვა სახეობის მიხედვით ტოლია 13,0-17,0მ³/კგ-ის. წლის განმავლობაში მოხმარებული დიზელის რაოდენობა უდრის 75,6 ტონას, ანუ 75600კგ-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით მოცულობითი სიჩქარე ტოლია:

$$V_0 = 75600 \times 17 / (600 \times 3600) = 0,595 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

პიროლიზური გაზი

ლიტერატურული წყარო[3]-ის მიხედვით 1მ³ საბურავების ბუნებრივი (პიროლიზური) აირის წვისას ნამწვი აირების გამოყოფის საშუალო კოეფიციენტი მერყეობს 10-15მ³/მ³-ის ფარგლებში.

წლის განმავლობაში მოხმარებული პიროლიზური გაზის რაოდენობა ტოლია 348000 მ³-ის. აღნიშნულის გათვალისწინებით მოცულობითი სიჩქარე(V₀) ტოლია:

$$V_0 = 348000 \times 15 / (3000 \times 3600) = 0,483 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

საწარმოს ტექნოლოგიის მიხედვით, დიზელის და ბუნებრივი აირის ერთდროულად წვას ადგილი არ აქვს, ამიტომ გ-1 წყაროდან გაფრქვევების ინტენსივობების(გ/წმ) მნიშვნელობად აღებული ვერ იქნება მათი ჯამური სიდიდე, შესაბამისად პროგრამული გათვლების წარმოებისას გრამულ ინტენსივობებად მიღებული იქნება დიზელის წვისას გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინტენსივობები, რადგან ისინი აღემატება ბუნებრივი აირის წვისას გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა

ინტენსივობებს, ხოლო რაც შეეხება წლიურ გაფრქვევას(ტ/წელი) - აღნიშნული მიიღება ორივე საწვავის წვისას გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა წლიური რაოდენობების შეკრებით, შესაბამისად:

აზოტის დიოქსიდი:

$$G = 0,119 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0,257 + 1,253 = 1,51 \text{ ტ/წელი}$$

ნახშირჟანგი:

$$G = 0,486 \text{ გ/წმ}$$

$$M = 1,0508 + 3,0972 = 4,148 \text{ ტ/წელი}$$

მტვერი(ჰვარტლი)

$$G = 0,00044 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0,00095 \text{ ტ/წელი}$$

გოგირდოვანი ანჰიდრიდი

$$G = 0,21 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0,454 \text{ ტ/წელი}$$

ნახშირორჟანგი

$$M = 242,525 + 696,0 = 938,525 \text{ ტ/წელი}$$

გ-1 წყაროს დახასიათება

გაფრქვევის წყარო - ორგანიზებული

სიმაღლე: $H=7\text{მ.}$; დიამეტრი $D = 0,4\text{მ.}$; მოცულობითი სიჩქარე: $V_0 = 0,595\text{მ}^3/\text{წმ}$, საერთო სამუშაო დრო - 3600სთ;

$$X = 0; Y=0$$

მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ანგარიში პიროლიზური აირის ჩირაღდნიდან, გ-2

წლის განმავლობაში 3000 სამუშაო საათის მუშაობის პირობებში მოხმარებული პიროლიზური აირის რაოდენობა შეადგენს 87000 მ³-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით:

აზოტის დიოქსიდი

$$M = 87000 \times 0,0036 / 1000 = 0,313 \text{ ტ/წელი};$$

$$G = 0,313 \times 10^6 / (3000 \times 3600) = 0,029 \text{ გ/წმ};$$

ნახშირჟანგი

$$M = 87000 \times 0,0089 / 1000 = 0,774 \text{ ტ/წელი};$$

$$G = 0,774 \times 10^6 / (3000 \times 3600) = 0,0717 \text{ გ/წმ};$$

ნახშირორჟანგი

$$M = 87000 \times 2 / 1000 = 174,0 \text{ ტ/წელი};$$

$$\text{მოცულობითი სიჩქარე: } V_0 = 87000 \times 15 / (3000 \times 3600) = 0,1208 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

გ-2 წყაროს დახასიათება

გაფრქვევის წყარი - ორგანიზებული

სიმაღლე: $H=4,5\text{მ.}$; დიამეტრი $D = 0,3\text{მ.}$; მოცულობითი სიჩქარე: $V_0 = 0,1208\text{მ}^3/\text{წმ}$, სამუშაო დრო - 3000სთ

$$X = 0,4;$$

$$Y = -5,3;$$

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში დიზელის 1,0მ³ მოცულობის რეზერვუარიდან რეაქტორში საწვავად გამოყენებული დიზელის ჩასხმისას, გ-3

დიზელის ჩასხმა 1მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში ხდება საწვავის მზიდი ავტოტრანსპორტიდან. ასეთი სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის გამცემი ტუმბოების მოცულობითი სიჩქარე უმრავლეს შემთხვევაში 60მ³/სთ (0,0167მ³/წმ.)-ის ფარგლებშია. დიზელის რეზერვუარზე დამონტაჟებულია გაფრქვევის მილი. წლიურად მოხმარებული

დიზელის რაოდენობა შეადგენს 90000 ლიტრს, რაც ტოლია 75,6 ტონის, საიდანაც ზაფხულის პერიოდში მოხდება მისი ნახევარი რაოდენობის, ანუ 37,8 ტონის, ხოლო ზამთრის განმავლობაში - ასევე მისი ნახევარი რაოდენობის, ანუ 37,8 ტონა დიზელის ჩასხმას რეზერვუარში.

ნავთობპროდუქტების მიმღებ ავზებში ჩატვირთვის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების ინტენსივობები იანგარიშება ლიტერატურული წყარო [4] -ის მიხედვით:

$$M = (C_1 \times K_p^{\max} \times Q_{\text{ფ}}^{\max}) / 3600 \times N_p \text{ გ/წმ, } \text{-----}(1)$$

$$G = (Y_2 \times B_{\text{ფ}} + Y_3 \times B_{\text{ვლ}}) \times K_p^{\max} \times 10^{-6} + G_{\text{xp}} \times K_{\text{ჰჰ}} \times N_p, \text{ ტ/წელი} \text{-----}(2), \text{ სადაც}$$

C_1 – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაციაა, გ/მ³, მნიშვნელობა

აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-12 დანართის მიხედვით;

$K_p^{\max}$ – შესწორების კოეფიციენტი და მნიშვნელობა აღებულია (მიწისზედა რეზერვუარებისათვის) ლიტერატურული წყარო [2] მე-8 დანართის მიხედვით;

$Q_{\text{ფ}}^{\max}$ – ტუმბოს მწარმოებლობაა (მ³/სთ);

Y_2 – რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული ხვედრითი კოეფიციენტი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-12 დანართის მიხედვით;

$B_{\text{ფ}}$ – გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ტონა;

Y_3 – რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული კოეფიციენტი გაზაფხული-ზაფხულის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-12 დანართის მიხედვით;

$B_{\text{ვლ}}$ – გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში, ტონა;

G_{xp} – ნავთობპროდუქტების გაფრქვევები ერთ რეზერვუარში შენახვის დროს, მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-13 დანართის მიხედვით;

$K_{\text{ჰჰ}}$ – შემასწორებელი კოეფიციენტი, მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-12 დანართის მიხედვით;

N_p – რეზერვუარების რაოდენობა

და (2) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები ლიტერატურული წყარო [2] -ის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

საწვავის სახეობა	C_1	$K_p^{\max}$	$Q_{\text{ფ}}^{\max}$	Y_2	$B_{\text{ფ}}$	Y_3	$B_{\text{ვლ}}$	G_{xp}	$K_{\text{ჰჰ}}$	N_p
დიზელი	3,92	1,0	60,0	2,36	37,8	3,15	37,8	3,28	$2,9 \times 10^{-3}$	1

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = (3,92 \times 1,0 \times 60,0) / 3600 \times 1 = 0,0653 \text{ გ/წმ}$$

$$G = (2,36 \times 37,8 + 3,15 \times 37,8) \times 1,0 \times 10^{-6} + 3,28 \times 2,9 \times 10^{-3} \times 1 = 0,000208 + 0,0095 = 0,00971 \text{ ტ/წელი}$$

ლიტერატურული წყარო [2], დანართი 14-ის მიხედვით, დიზელის ორთქლში შემავალი კომპონენტების კონცენტრაციები (მასური %) მოცემულია ცხრილში 5.2.

ცხრილი 5.2.

ნავთობ პროდუქტი	კომპონენტების კონცენტრაცია და მასური პროცენტი	
	ნაჯერი ნახშირწყალბადები	გოგირდწყალბადი
	$C_{12}-C_{19}$	H_2S
1	2	3
დიზელის საწვავი	99.72	0.28

ცხრილი 5.2.-ის მნიშვნელობების გათვალისწინებით დიზელის რეზერვუარის გაფრქვევის მილიდან გაფრქვეული დიზელის ორთქლის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.3.

ცხრილი 5.3.

ნივთიერების დასახელება	ნივთიერების კოდი	M, გ/წმ	G, ტ/წელი
1	2	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	2754	0,065	0,00967
გოგირდწყალბადი	333	0,00018	0,000027

გ-3 წყაროს დახასიათება

გაფრქვევის წყარი - ორგანიზებული

სიმაღლე: H=1,5მ.; დიამეტრი D = 0,05მ.; მოცულობითი სიჩქარე: V₀ = 0,0167მ³/წმ (საერთო დრო 90 / 60= 1,5სთ)

X = -10,3; Y = 3,1

ნაჯერი ნახშირწყალბადები M = 0,065გ/წმ; G = 0,00967ტ/წ

გოგირდწყალბადი M = 0,00018გ/წმ; G = 0,000027ტ/წ

მაგნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში პიროლიზური დიზელის 2,5მ³ მოცულობის რეზერვუარიდან მასში პიროლიზური დიზელის ჩასხმისას, გ-4

დიზელის ჩასხმა რეზერვუარში ხდება თვითდინებით, რა დროსაც დიზელის გამოყოფის ინტენსივობის გათვალისწინებით, ტოლია 0,1964მ³/სთ-ის.

სულ წლის განმავლობაში გადატვირთული დიზელის რაოდენობა შეადგენს 495(589.3მ³)ტონას, საიდანაც გაზაფხული ზაფხულის პერიოდში ადგილი ექნება 495,0 / 2 = 247,5 ტონის ჩატვირთვას, ხოლო ზაფხულის პერიოდში - ასევე 247,5 ტონის ჩატვირთვას.

ნავთობპროდუქტების მიმღებ ავზებში ჩატვირთვის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების ინტენსივობები იანგარიშება (1) და (2) ფორმულების მიხედვით. (1) და (2) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.4.

ცხრილი 5.4.

საწვავის სახეობა	C ₁	K _p ^{max}	Q _ვ ^{max}	Y ₂	B _თ	Y ₃	B _{ვლ}	G _{xp}	K _{нп}	N _p
დიზელი	3,92	1,0	0,196 4	2,36	247,5	3,15	247,5	3,28	2,9x10 ⁻³	1

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

M = (3,92 x 1,0 x 0,1964) / 3600 x 1 = 0,0002გ/წმ

G = (2,36 x 247,5 + 3,15 x 247,5) x 1,0 x 10⁻⁶ + 3,28 x 2,9 x 10⁻³ x 1 = 0,00136 + 0,0095 = 0,011ტ/წელი

ცხრილი 5.2.-ის მნიშვნელობების გათვალისწინებით დიზელის რეზერვუარის გაფრქვევის მილიდან გაფრქვეული დიზელის ორთქლის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.5.

ცხრილი 5.5.

ნივთიერების დასახელება	ნივთიერების კოდი	M, გ/წმ	G, ტ/წელი
1	2	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	2754	0,0000199	0,0109
გოგირდწყალბადი	333	0,00000056	0,000031

გაფრქვევის წყარო - ორგანიზებული

სიმაღლე: H=1,5მ.; დიამეტრი D = 0,05მ.; მოცულობითი სიჩქარე: V₀ = 0,00004მ³/წმ; T= 3000სთ(589,3/0,1964=3000);

X = -3,0; Y = -2,1

ნაჯერი ნახშირწყალბადები - M = 0,0000199გ/წმ; G = 0,0109ტ/წ

გოგირდწყალბადი - $M = 0,00000056 \text{ გ/წმ}$; $G = 0,000031 \text{ ტ/წ}$

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში 2,0მ³ მოცულობის რეზერვუარიდან მასში პირობითური ბენზინის ჩასხმისას, გ-5

ბენზინის ჩასხმა რეზერვუარში ხდება თვითდინებით, რა დროსაც ბენზინის გამოყოფის ინტენსივობის გათვალისწინებით, ტოლია $0,1378 \text{ მ}^3/\text{სთ}$.

სულ წლის განმავლობაში გადატვირთული ბენზინის რაოდენობა შეადგენს $306,0(413,5 \text{ მ}^3)$ ტონას, საიდანაც გაზაფხული ზაფხულის პერიოდში ადგილი ექნება $306,0 / 2 = 153,0$ ტონის ჩატვირთვას, ხოლო ზაფხულის პერიოდში - ასევე $153,0$ ტონის ჩატვირთვას.

ნავთობპროდუქტების მიმღებ ავზებში ჩატვირთვის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების ინტენსივობები იანგარიშება (1) და (2) ფორმულების მიხედვით, სადაც ჩატვირთვისას მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინტენსივობის (გ/წმ) ანგარიშისათვის გამოყენებული (1) და (2) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.6.

ცხრილი 5.6.

საწვავის სახეობა	C_1	$K_p^{\max}$	$Q_{\text{წ}}^{\max}$	Y_2	$B_{\text{თ}}$	Y_3	$B_{\text{პ}}$	G_{xp}	$K_{\text{ჩ}}$	N_p
ბენზინი	1176,1 2	0,7	0,137 8	967,2	153,0	1131,0	153,0	0,22	1,0	1

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 1176,12 \times 1,0 \times 0,1378 / 3600 = 0,045 \text{ გ/წმ}$$

$$G = (967,2 \times 153,0 + 1131,0 \times 153,0) \times 1,0 \times 10^{-6} + 0,22 \times 1,0 \times 1,0 = 0,321 + 0,22 = 0,541 \text{ ტ/წელი}$$

ლიტერატურული წყარო [2], დანართი 14-ის მიხედვით, ბენზინის ორთქლში შემავალი კომპონენტების კონცენტრაციები (მასური %) მოცემულია ცხრილში 5.7

ცხრილი 5.7

ნავთობ პროდუქტი	კომპონენტების კონცენტრაცია და მასური პროცენტი							
	ნაჯერი ნახშირწყალბადები				ბენ-ზოლი	ქსილ-ოლი	ტოლუ-ოლი	ეთილ-ბენზოლი
	C_1-C_5	C_6-C_{10}	$C_{12}-C_{19}$	ამილენი				
1	2	3	4	5	6	7	8	9
ბენზინი	67,67	25,01	-	2,5	2,3	0,29	2,17	0,06

ცხრილი 5.7-ის გათვალისწინებით, აღნიშნული სიდიდეები მოცემულია ცხრილში 5.8

ცხრილი 5.8

ნივთიერების დასახელება	ნივთიერების კოდი	M, გ/წმ	G, ტ/წელი
1	2	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C_1-C_5	415	0,03	0,366
ნაჯერი ნახშირწყალბადები C_6-C_{10}	416	0,0113	0,135
ამილენი C_5H_{10}	501	0,0011	0,0135
ბენზოლი C_6H_6	602	0,001	0,0124
ქსილოლი $(CH_3)_2C_6H_4$	616	0,00013	0,00157
ტოლუოლი C_7H_8	621	0,001	0,0117
ეთილბენზოლი C_8H_{10}	627	0,000027	0,00032

გ-5 წყაროს დახასიათება

გაფრქვევის წყარი - ორგანიზებული

სიმაღლე: $H=1,5 \text{ მ.}$; დიამეტრი $D = 0,05 \text{ მ.}$; მოცულობითი სიჩქარე: $V_0 = 0,00004 \text{ მ}^3/\text{წმ}$; $T = 3000 \text{ სთ.}$

$X = -0,4$; $Y = -4,4$

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში მაზუთის გადატვირთვისას საბოლოო რეზერვუარში, გ-

6

მაზუთის გადატვირთვა რეზერვუარში ხდება 3,0მ³/სთ წარმადობის ტუმბოს გამოყენებით.

გაფრქვევის ინტენსივობის ანგარიში წარმოებს ლიტერატურული წყარო [4], პარაგრაფი 5.8.(მნიშვნა პუნქტი 6.1., ფორმულა 5.6.)-ის მიხედვით (რეზერვუარის ქვემოდან/გვერდიდან გათბობა-ჩაედინება თბილი მაზუთი), კერძოდ:

- მაქსიმალური გაფრქვევა (M, გ/წმ)

$$M = C_{20} \times K_{tmax} \times K_{pmax} \times V_{чmax} : 3600 \text{ ----- (3)}$$

- წლიური გაფრქვევა (G, ტ/წელი)

$$G = \frac{C_{20} \cdot (K_t^{max} + K_t^{min}) \cdot K_p^{cp} \cdot K_{of} \cdot B}{2 \cdot 10^6 \cdot \rho_{ж}}, \text{ ----- (4)}$$

სადაც,

C_{20} – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაციაა, გ/მ³, მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-12 დანართის მიხედვით;

K_{tmin} , K_{tmax} - შესწორების კოეფიციენტი და მნიშვნელობა აღებულია (მიწისზედა რეზერვუარებისათვის) ლიტერატურული წყარო [2] მე-7 დანართის მიხედვით;

K_{pmax} - შესწორების კოეფიციენტი და მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-8 დანართის მიხედვით;

K_p^{cp} - შესწორების კოეფიციენტი და მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-8 დანართის მიხედვით;

K_{of} - შესწორების კოეფიციენტი და მნიშვნელობა აღებულია ლიტერატურული წყარო [2] მე-10 დანართის მიხედვით;

B - გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა წლის განმავლობაში, ტონა;

$V_{чmax}$ - ტუმბოს მწარმოებლობაა (მ³/სთ);

$\rho_{ж}$ – სითხის სიმკვრივეა, ტ/მ³;

(1) და (2) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები შემდეგია::

$C_{20} = 6,53$; $K_{tmin} = 1,0$; $K_{tmax} = 7,4$; $K_{pmax} = 1,0$; $K_p = 0,7$; $K_{of} = 1,35$; $B = 99,0$ ტ; $V_{чmax} = 3,0$ მ³/სთ; $\rho_{ж} = 1,015$.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 6,53 \times 7,4 \times 1,0 \times 3,0 / 3600 = 0,04 \text{ გ/წმ}$$

$$G = 6,53 \times (7,4 + 1,0) \times 0,7 \times 1,35 \times 99,0 / (2 \times 10^6 \times 1,015) = 0,0025 \text{ ტონა}$$

ლიტერატურული წყარო [2], დანართი 14-ის მიხედვით, მაზუთის ორთქლში შემავალი კომპონენტების კონცენტრაციები (მასური %) მოცემულია ცხრილში 5.9.

ცხრილი 5.9.

ნავთობ პროდუქტი	კომპონენტების კონცენტრაცია და მასური პროცენტი		
	ნაჯერი ნახშირწყალბადები	გოგირდწყალბადი	ბენზოლი
	C ₁₂ -C ₁₉	H ₂ S	C ₆ H ₆
1	2	3	
მაზუთი	99,31	0,48	0,21

ცხრილი 5.9.-ის მნიშვნელობების გათვალისწინებით მაზუთის ორთქლის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები გ-5 წყაროსათვის მოცემულია ცხრილში 5.10

ცხრილი 5.10

ნივთიერების დასახელება	ნივთიერების კოდი	M, გ/წმ	G, ტ/წელი
1	2	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	2754	0,0397	0,00248
გოგირდწყალბადი	333	0,000192	0,000012
ბენზოლი	602	0,000084	0,000005

გ-6 წყაროს დახასიათება

გაფრქვევის წყარი - ორგანიზებული

სიმაღლე: $H=4,6\text{მ.}$; დიამეტრი $D = 0,05\text{მ.}$; მოცულობითი სიჩქარე: $V_0 = 0,00083\text{მ}^3/\text{წმ}$; $T= 32,5\text{სთ}$;
 $X = 9,4$; $Y = -12,0$

ნაჯერი ნახშირწყალბადები $M = 0,0397\text{გ/წმ}$; $G = 0,00248\text{ტ/წ}$

გოგირდწყალბადი $M = 0,000192\text{გ/წმ}$; $G = 0,000012\text{ტ/წ}$

ბენზოლი $M = 0,000084$; $G = 0,000005$

მაგნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში დიზელის გადატვირთვისას საბოლოო რეზერვუარში, გ-7

დიზელის გადატვირთვა რეზერვუარში ხდება $3,0\text{მ}^3/\text{სთ}$ წარმადობის ტუმბოს გამოყენებით.

სულ წლის განმავლობაში გადატვირთული დიზელის რაოდენობა შეადგენს $495(589.3\text{მ}^3)$ ტონას, საიდანაც გაზაფხული ზაფხულის პერიოდში ადგილი ექნება $495,0 / 2 = 247,5$ ტონის ჩატვირთვას, ხოლო ზაფხულის პერიოდში - ასევე $247,5$ ტონის ჩატვირთვას.

ნავთობპროდუქტების მიმღებ ავზებში ჩატვირთვის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების ინტენსივობები იანგარიშება (1) და (2) ფორმულების მიხედვით. (1) და (2) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.11.

საწვავის სახეობა	C_1	$K_p^{\max}$	$Q_{\text{წ}}^{\max}$	Y_2	$B_{\text{თ}}$	Y_3	$B_{\text{ვლ}}$	G_{xp}	$K_{\text{нп}}$	N_p
დიზელი	3,92	1,0	3,0	2,36	247,5	3,15	247,5	3,28	$2,9 \times 10^{-3}$	1

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = (3,92 \times 1,0 \times 3,0) / 3600 \times 1 = 0,00327\text{გ/წმ}$$

$$G = (2,36 \times 247,5 + 3,15 \times 247,5) \times 1,0 \times 10^{-6} + 3,28 \times 2,9 \times 10^{-3} \times 1 = 0,00136 + 0,0095 = 0,011\text{ტ/წელი}$$

ცხრილი 5.2.-ის მნიშვნელობების გათვალისწინებით დიზელის რეზერვუარის გაფრქვევის მილიდან გაფრქვეული დიზელის ორთქლის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 5.12.

ცხრილი 5.12.

ნივთიერების დასახელება	ნივთიერების კოდი	M , გ/წმ	G , ტ/წელი
1	2	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}-C_{19}$	2754	0,00326	0,0109
გოგირდწყალბადი	333	0,000009	0,000031

გაფრქვევის წყარი - ორგანიზებული

სიმაღლე: $H=4,6\text{მ.}$; დიამეტრი $D = 0,05\text{მ.}$; მოცულობითი სიჩქარე: $V_0 = 0,00083\text{მ}^3/\text{წმ}$; $T= 196,4\text{სთ}$;
 $X = 17,2\text{მ}$; $Y = -24,2\text{მ}$

